

**ხელშეკრულება**  
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №28**

ქ. ბათუმი

5 თებერვალი 2019 წ.

ერთის მხრივ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო (შემდგომში – „შემსყიდველი“), წარმოდგენილი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ლაშა კომახიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ავტო მასტერ სერვისი“ (შემდგომში – „მიმწოდებელი“) მისი დირექტორის გოდერძი სიხარულიძის სახით (ელექტრონული ტენდერი პრეის-კურანტით - NAT190000167) ვლებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი**

**1.1.** წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა განახორციელოს (საკრებულოს) ავტომობილებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება (CPV50100000-სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები) შემდგომში – „მომსახურება“, ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადახადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით დადგენილი წესით (მომსახურების ჩამონათვალი მოცემულია დანართში, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს (ტექნიკური პირობები, საგარანტიო პირობები, ფასების ცხრილი, ასევე სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, ელექტრონულ ტენდერში **NAT190000167** განთავსებული დოკუმენტაციები).

**1.2.** მიმწოდებელი ასრულებს, ხოლო შემსყიდველი ღებულობს შესრულებულ მომსახურებას და ახდენს მისი ღირებულების ანაზღაურებას წინამდებარე ხელშეკრულების 2.4. პუნქტის შესაბამისად.

**1.3.** წინამდებარე ხელშეკრულება არეგულირებს ურთიერთობებს, რომელიც წარმოიშობა მხარეთა შორის.

**2. მომსახურების ღირებულება და ანგარიშწორების წესი**

**2.1.** ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **30000,00** (ოცდაათიათასი) ლარს, პრეისკურანტის ღირებულება **54500,00** (ორმოცდაათოთხმეტიათას ხუთასი).

**2.2.** მომსახურების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომელთა გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

**2.3.** ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, ვალუტა - ლარი;

**2.4.** ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

**2.5.** მიმწოდებლის მოთხოვნა ანაზღაურების შესახებ შემსყიდველისადმი შესრულებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით, მომსახურების შესრულების შესახებ შესაბამისი დოკუმენტების დართვით.

**2.6.** პრეისკურანტში ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების რომელიმე ერთეულის არარსებობისას, აღნიშნული ერთეულის ფასი მისი შესყიდვის აუცილებლობისას, დგინდება შემსყიდველი ორგანიზაციისა და მიმწოდებლის შეთანხმებით საბაზრო ფასის გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში პრეისკურანტში ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების ერთეულის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული პრეისკურანტის საბოლოო ჯამური ღირებულების 10%-ს;

**2.8.** მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველთან ერთად დააფიქსიროს შესრულებული მომსახურების ღირებულება.

### 3. მომსახურების გაწევის ვადა და პირობები:

3.1. მომსახურება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2020 წლის 15 თებერვლამდე პერიოდი.

### 4. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

4.1. ხელშეკრულების შესრულების შემსყიდველის მხიდან კონტროლს, შესრულებული მომსახურების წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიღება-ჩაბარების მიზნით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას და ტექნიკურ ზედამხედველობას განახორციელებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დამხმარე სპეციალისტი სპეციალისტი - **კახა გარუჩავა**. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე და ნებისმიერ დროს ამ პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მიანიჭოს ქ. ბათუმის მერიის სხვა თანამშრომელს ან/და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ნებისმიერ სხვა პირს. შემსყიდველის ასეთი გადაწყვეტილება არ საჭიროებს მიმწოდებლის არც წინასწარ და არც შემდგომ თანხმობას და იგი ძალაში შედის შესაბამის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ან შესაბამისი ხელშეკრულებით დადგენილი წესით;

4.2. ხელშეკრულების შესრულების შემსყიდველის მხიდან კონტროლის, შესრულებული სამუშაოების წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიღება-ჩაბარების მიზნით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების უფლებამოსილების 4.1. პუნქტის შესაბამისად შესაბამის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ან შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირზე მინიჭების შემდეგ ასეთი უფლებამოსილების მინიჭებამდე შესრულებული სამუშაოების კონტროლისა და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების შედეგები და გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.

4.3. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე მათ შორის მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

4.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

4.5. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

### 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს შესრულებული მომსახურება ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში.

5.2. თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.

5.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან, ხელახლა ინსპექტირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის ღირებულების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

5.4. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

## 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

**6.1.** შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის სრული დაცვით.

**6.2.** შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მიმწოდებელს წინასწარ გააცნოს ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულებისას.

ბ) მომსახურების შესრულების დამოწმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში მოახდინოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლის შესაბამისად.

გ) მიმწოდებელს აუნაზღაუროს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით სახელმწიფო შესყიდვის მომსახურების სრული ღირებულება, მომსახურების დასრულებისთანავე.

**6.3.** შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება.

**6.4.** მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

ბ) დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემებისა და გარანტიების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**6.5.** მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების, შუალედური და საბოლოო ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

## 7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

**7.1.** ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,02% პროცენტის ოდენობით;

**7.2.** საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

**7.3.** ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით;

**7.4.** შემსყიდველი უფლებამოსილია წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო გაუქვითოს მიმწოდებელს სახელშეკრულებო ფასიდან.

## 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ან შეწყვეტა

**8.1.** ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

**8.2.** თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

**8.3.** ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

**8.4.** ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

**8.5.** შემსყიდველის მიერ ხელშეკრულება ცალმხრივად ვადამდე შეიძლება მოიშალოს (შეწყდეს):

**8.5.1.** მიმწოდებლის მიერ გაფრთხილების მიუხედავად ხელშეკრულების იმავე პირობების განმეორებით ან/და სხვა პირობების შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში;

**8.5.2.** ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე აშკარა ხდება, რომ მიმწოდებელი დადგენილ ვადაში ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას და დადგება ხელშეკრულებაზე უარის თქმის (შეწყვეტის) საფუძვლები, ხოლო შემსყიდველმა ურთიერთობის გაგრძელება ხელშეკრულებით დაუკავშირა ვალდებულების დროულ შესრულებას;

**8.5.3.** თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მიმწოდებელი არ შეასრულებს თავის ვალდებულებას ჯეროვნად და კეთილსინდისიერად;

**8.6.** წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

**8.7.** ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში.

**8.8.** ერთ-ერთი მხარის ინიციატივით წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ

## **9. ფორს-მაჟორული სიტუაციები**

**9.1.** მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

**9.2.** ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორს-მაჟორული გარემოებათა დასრულების შემდეგ.

**9.3.** მხარეს, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს წერილობით ამის შესახებ მეორე მხარეს. ამასთან მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

## **10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი**

**10.1.** ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

**10.2** თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

## 11. გადასახადები და ბაჟები

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

## 12. შეტყობინება

**12.1.** ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

**12.2.** შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღე-ბიდან რომელი უფრო გვიანდება.

## 13. სხვა პირობები

**13.1.** მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

**13.2.** ხელშეკრულება ძალაში შედის, მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

**13.3.** ხელშეკრულება იდება ორი ერთნაირი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების დამდებ მხარეებთან.

### მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის  
აღმასრულებელი ორგანო  
მის.: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25  
ს/კ 245576826;  
ბანკის დასახელება-სახელმწიფო ხაზინა  
ბ/კ: TRESGE22  
ანგ. №GE24NB0330100200165022  
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი  
ლაშა კომახიძე

„მიმწოდებელი“

შპს „ავტო მასტერ სერვისი“  
ს/კ 436033187  
მის: თბილისი ქავთარაძის 5  
ბანკის დასახელება: თიბისი ბანკი  
ბანკის კოდი TBCBGE22  
ა/ნ GE48TB7247836020100003  
ტელ: 555070800  
გენერალური დირექტორი  
გოდერძი სიხარულიძე

## სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2019 წლის 5 თებერვლის N28 ხელშეკრულების დანართი:

### ტექნიკური დოკუმენტაცია

შესყიდვის ობიექტის მოცულობა:

ა) გასაწევი მომსახურების მოცულობა შეადგენს:

1. ტოიოტა კოროლა - სახ. ნომ. RBR - 760 გამოშვების წელი 2008 წ;
2. ტოიოტა კოროლა - სახ. ნომ. RBR - 761 გამოშვების წელი 2008 წ;
3. ტოიოტა კოროლა - სახ. ნომ. BS-793-SS გამოშვების წელი 2008 წ;
4. ტოიოტა კოროლა - სახ. ნომ. FCF – 517 გამოშვების წელი 2011 წ;
5. კია ცერატო - სახ. ნომ. FPF – 916 გამოშვების წელი 2013 წ;
6. კია ცერატო - სახ. ნომ. ILL – 018 გამოშვების წელი 2012 წ;
7. კია ცერატო - სახ. ნომ. XY-727-YX გამოშვების წელი 2011 წ;
8. ჰიუნდაი სონატა - სახ. ნომ. BE-701-BD გამოშვების წელი 2011 წ;
9. ჰიუნდაი ელანტრა - სახ. ნომ. VZ-553-ZV გამოშვების წელი 2012.;

### 1.1 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება (პირობები)

1.1.1 საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს შემსყიდველი-სადმი კუთვნილ ავტომანქანებზე: **(იხილეთ დანართი №1)**

1.1.2 გასაწევი საქონლის მიწოდება/მომსახურება მოიცავს:

- ა) ქარხნული ან/და ორიგინალი სათადარიგო ავტონაწილების მიწოდებას, არ უნდა იყოს ექსპლუატაციაში ნამყოფი, არ უნდა გააჩნდეს დეფექტი და ნაკლოვანებები;
- ბ) ავტომანქანის სათადარიგო ავტონაწილების დროულად და ხარისხიანად შეკეთებას;
- გ) დეფექტური სათადარიგო ნაწილების გამოცვლას და შეცვლას საკუთარი ხარჯებით.

1.1.3 ჩამოთვლილთაგან რომელიმე საქონლის მიწოდების/მომსახურების რაოდენობა შესაძლებელია გაიზარდოს, მათ შორის გამოუყენებელი საქონლის მიწოდების/მომსახურების ღირებულების ხარჯზე ფასების ცხრილში დაფიქსირებული ერთეულის ფასის და ჯამური ფასის ფარგლებში.

1.1.4 შემსყიდველი არ არის ვალდებული სატენდერო დოკუმენტაციით მითითებული საქონლის/მომსახურების დასახელებების რაოდენობების შესყიდვა განახორციელოს სრული რაოდენობით და შესაძლებელი უნდა იყოს შემსყიდველთან გაფორმებული ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გარკვეული რაოდენობების მოკლება და დამატება სხვადასხვა პოზიციებიდან სხვადასხვა პოზიციებზე.

1.1.5 ავტომობილების მომსახურება უნდა განხორციელდეს მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში დეფექტური აქტის შედგენის შემდეგ, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გასაწევი საქონლის მიწოდების/მომსახურების ან/და ასეთი მომსახურებისათვის საჭირო საქონლის (სათადარიგო ნაწილების) დეტალური აღწერა, აგრეთვე, მომსახურების დაწყებისა და დასრულების ვადები.

1.1.8 საჭიროების შემთხვევაში ევაკუატორის გამოძახების დაფიქსირებიდან ერთ კალენდარულ დღეში გამოცხადეს დანიშნულების ადგილზე და განახორციელოს შემსყიდველის ავტოსატრანსპორტო საშუალებების, მიმწოდებლის სერვისცენტრში გადაყვანა შემდგომი შეკეთების მომსახურების გაწევის მიზით.

1.1.9 შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, დაუყოვნებლივ, რიგგარეშე, ამასთან მომსახურების ვადა თითოეულ შემთხვევაზე სერვის ცენტრებში მიყვანიდან ან სადეფექტო აქტის შედგენიდან არ უნდა აღემატებოდეს:

- ა) პროფილაქტიკური და დიაგნოსტიკური მომსახურება; ერთიდან ორ დღემდე.
- ბ) სავალ ნაწილები - ერთიდან ორ დღემდე.

გ) ელექტროობა - ერთიდან სამ დღემდე.

დ) აგრეგატები - ერთიდან სამ დღემდე.

ე). სამღებრო და სათუნუქე - სამღებრო სამუშაოები - ერთიდან ათ დღემდე.

ვ) ხანგრძლივი მომსახურების (ძრავის, სიჩქარეთა კოლოფის) გაწევის დრო ერთიდან თხუთმეტ დღემდე.

**1.1.10** თუ ავტომანქანის შეკეთებისას საჭირო გახდა დეფიციტური სათადარიგო ნაწილის გამოყენება (რამოდენიმე დეფიციტური ნაწილის არსებობის შემთხვევაში უნდა მოხდეს მათი ერთობლივად შეკვეთა), შესაძლებელია მომსახურების გაწევის დრო გაიზარდოს არაუმეტეს 25 კალენდარულ დღემდე. მიმწოდებელმა დეფიციტური ნაწილის შესახებ ინფორმაცია წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მომსახურების დაწყებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) დღისა, რომლისაგ თან უნდა დაერთოს შეკვეთის დამადასტურებელი დოკუმენტი (დოკუმენტის ასლი).

**1.1.11** თუ მიმწოდებელი ვერ ახერხებს საკუთარ სერვისცენტრში ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებას და მომსახურებას განახორციელებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა სერვის ცენტრში, მაშინ ტრანსპორტირების ხარჯებს მთლიანად აანაზრაურებს მიმწოდებელი.

**1.1.12** სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერება/შემოწმება უნდა მოხდეს უფასოდ

**1.1.13** ავტომობილის დაზიანებული ნაწილი უნდა შეიცვალოს ახალი, (არა მეორადი) მაღალი ხარისხის სათადარიგო ნაწილით, რომელიც უნდა იყოს წარმოებული წამყვანი კომპანიების მიერ და რეკომენდირებული იყოს შესაკეთებელი ავტოსატრანსპორტო საშუალების მოდელის მწარმოებელი კომპანიის მიერ.

## საგარანტიო პირობები:

1. ავტომობილის სტანდარტული, ზომიერი ექსპლოატაციის შემთხვევაში მიმწოდებლის მიერ გაწეულ მომსახურებასა და შეცვლილ სათადარიგო ნაწილებზე უნდა გავრცელდეს გარანტია მინიმუმ 6 (ექვსი) თვის განმავლობაში, მიმწოდებლის მიერ მიწოდებულ საქონლის მიწოდება/მომსახურებაზე გარანტია უნდა ვრცელდებოდეს არანაკლებ 6 თვის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაზიანება გამოწვეულია მექანიკური ზემოქმედებით ან/და სწრაფ ცვლადი დეტალებისა (კერძოდ, გახურების ნათურები, ანთების სანთლები, გახურების სანთლები, დამცველები, სამუხრუჭე ხუნდები, გადაბმულობის ამყობი და მიმყობი რგოლები (ფრიქციონები), ზეთის, კონდიციონერის, ჰაერისა და საწვავის ფილტრები, მინის მრეცხავები, ანთების საკონტაქტო ერთეულები და მტვერდამცავები (პილნიკები)) და იმ შემთხვევისა, როდესაც დაზიანება გამოწვეულია არასწორი ექსპლუატაციით გამოწვეულ დაზიანებებზე, კერძოდ, გარეგანი მექანიკური ზემოქმედებით გამოწვეულ დაზიანებებზე.

2. ხოლო საპოხ მასალებზე უნდა ვრცელდებოდეს შემდეგი გარანტია:

ა). ძრავის ზეთზე – გარბენი მინიმუმ 10 000 კმ.

ბ). სიჩქარის კოლოფის ზეთზე – მინიმუმ 50 000 კმ.

3. საგარანტიო პერიოდის განმავლობაში, პრეტენდენტის მიერ მოწოდებული საქონლის მიწოდების/მომსახურების დეფექტისა და ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში ან დაზიანების შემთხვევაში უნდა შეკეთდეს ან შეიცვალოს ახლით შემსყიდველის მიერ შეტყობინების მიღებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4. საგარანტიო მომსახურების აუცილებლობის შემთხვევაში, დაზიანებული საქონლის ტრანსპორტებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

ფასების ცხრილი

№	დეტალის დასახელება	ზომის ერთეული	დეტალის ზღვრული ფასი	თანმდევი მომსახურების (მოხსნა/დაყენება/შეცვლა) ზღვრული ფასი	დეტალის ფასი	თანმდევი მომსახურების (მოხსნა/დაყენება/შეცვლა) ფასი	ფასი სულ
<b>ტოიოტა "კოროლა" - მრავი 1.4, გამოშვების წელი 2008, მექანიკური გადაც. კოლოფი - 3 ერთეული</b>							
1	სამუხრუჭე ხუნდები წინა	კომპლექტი	90.00	15.00	90.00	12.75	102.75
2	სამუხრუჭე ხუნდები უკანა	კომპლექტი	80.00	15.00	80.00	12.75	92.75
3	ამორტიზატორი წინა	ცალი	180.00	40.00	180.00	34.00	214.00
4	ამორტიზატორი უკანა	ცალი	140.00	40.00	119.00	34.00	153.00
5	ამორტიზატორის მტვერდამცავი	ცალი	50.00	40.00	42.50	17.00	59.50
6	ამორტიზატორის საყრდენი ბალიში	ცალი	100.00	40.00	100.00	40.00	140.00
7	სანთელი	ცალი	20.00	5.00	17.00	4.25	21.25
8	ნათურა ერთ კონტაქტიანი (12V)	ცალი	3.00	3.00	2.55	2.55	5.10
9	ნათურა ორ კონტაქტიანი (12V)	ცალი	5.00	3.00	4.25	2.55	6.80
10	ნათურა HB4	ცალი	15.00	8.00	12.75	6.80	19.55
11	ნათურა HB3	ცალი	15.00	8.00	12.75	6.80	19.55
12	ნათურა მოხვევის მაჩვენებლის (12V)	ცალი	5.00	5.00	4.25	4.25	8.50
13	ნათურა გაბარტის	ცალი	2.00	5.00	1.70	4.25	5.95
14	ღვედის დამჭიმი მექანიზმი	კომპლექტი	180.00	20.00	153.00	17.00	170.00
15	ღვედის დამჭიმი მექანიზმის გორგოლაჭი	ცალი	50.00	20.00	42.50	17.00	59.50
16	ღვედის ამყოლი გორგოლაჭი	ცალი	50.00	20.00	42.50	17.00	59.50
17	საბურავის დისკი	ცალი	50.00	0.00	17.00	0.00	17.00
18	საბურავის დეკორატიული საფარი	კომპლ.	60.00	0.00	17.00	0.00	17.00
19	ძრავის ზეთის ფილტრი	ცალი	20.00	5.00	17.00	4.25	21.25
20	სალონის ფილტრი	ცალი	15.00	5.00	12.75	4.25	17.00
21	ჰაერის ფილტრი	ცალი	20.00	5.00	17.00	4.25	21.25
22	ფარი უკანა	ცალი	200.00	30.00	68.00	4.25	72.25
23	ფარი წინა	ცალი	350.00	30.00	127.50	4.25	131.75
24	ნისლსაწინააღმდეგო მაშუქი	კომპლექტი	120.00	30.00	76.50	8.50	85.00
25	გადაცემათა კოლოფის მოხსნა-დაყენება	ცალი	0.00	200.00	0.00	170.00	170.00
26	გადამბულობის დისკი	ცალი	150.00	10.00	127.50	8.50	136.00
27	გადამბულობის კალათა	ცალი	250.00	15.00	212.50	12.75	225.25
28	გადამბულობის დისკის აღდგენა (დაჭედვა)	ცალი	0.00	50.00	0.00	8.50	8.50
29	საწვავის ტუმბო	ცალი	200.00	80.00	25.50	4.25	29.75
30	დროსელის გაწმენდა	ცალი	0.00	50.00	0.00	42.50	42.50
31	შეფრქვევის სისტემის გაწმენდა (მოხსნა /მიგება)	კომპლექტი	0.00	100.00	0.00	4.25	4.25
32	საყრდენი ბერკეტის მილისა (უკანა)	ცალი	30.00	30.00	25.50	25.50	51.00
33	საყრდენი ბერკეტის მილისა წინა (ჩაწნეხვა მოხსნილ ბერკეტზე)	ცალი	30.00	10.00	25.50	8.50	34.00
34	რეაქტიული გამწევის რეზინები	კომპლექტი	25.00	20.00	4.25	4.25	8.50



35	საჭის მექანიზმი	კომპლექტი	1000.00	150.00	595.00	127.50	722.50
36	საჭის დერძი (შლიცი)	ცალი	400.00	40.00	212.50	8.50	221.00
37	საჭის წევა	ცალი	60.00	25.00	51.00	21.25	72.25
38	საჭის წევის ბურთულთავიანი დაბოლოება	ცალი	50.00	20.00	42.50	17.00	59.50
39	სტაბილიზატორის კრონშტეინი (სტერეინი)	ცალი	40.00	10.00	34.00	8.50	42.50
40	ბურთულა სახსარი	ცალი	60.00	35.00	60.00	29.75	89.75
41	უკანა ხედვის სარკე (მინა)	ცალი	50.00	20.00	4.25	4.25	8.50
42	უკანა ხედვის სარკე	კომპლექტი	150.00	30.00	4.25	4.25	8.50
43	უკანა ხედვის სარკის ხუფი	ცალი	70.00	10.00	4.25	4.25	8.50
44	გენერატორი	ცალი	350.00	30.00	212.50	12.75	225.25
45	გენერატორის ღვედი	ცალი	50.00	20.00	50.00	20.00	70.00
46	გენერატორის საკისარი (მონტაჟი დაშლილ დეტალზე)	ცალი	40.00	10.00	34.00	8.50	42.50
47	გენერატორის რელე	ცალი	75.00	20.00	63.75	17.00	80.75
48	გენერატორის ხვია (ამბოტკა)	ცალი	140.00	0.00	8.50	0.00	8.50
49	გენერატორის კორექტორის თავი (მონტაჟი დაშლილ დეტალზე)	ცალი	15.00	15.00	4.25	4.25	8.50
50	გენერატორის იაკორი (მონტაჟი დაშლილ დეტალზე)	ცალი	130.00	20.00	68.00	4.25	72.25
51	გენერატორის შეკეთება (დაშლა/აწყობა)	ცალი	0.00	50.00	0.00	42.50	42.50
52	წყლის ტუმბო (პომპა)	ცალი	150.00	50.00	85.00	17.00	102.00
53	ფარების გასწორება	კომპლექტი	0.00	20.00	0.00	17.00	17.00
54	ძრავეკვება ბალიში (წინა)	ცალი	120.00	40.00	102.00	34.00	136.00
55	ძრავეკვება ბალიში (უკანა)	ცალი	120.00	40.00	102.00	34.00	136.00
56	ძრავის ბალიში (მარჯვენა)	ცალი	170.00	60.00	144.50	51.00	195.50
57	ძრავის ბალიში (მარცხენა)	ცალი	170.00	60.00	144.50	51.00	195.50
58	თერმოსტატი	ცალი	50.00	30.00	42.50	25.50	68.00
59	საქარე მინა	ცალი	250.00	120.00	250.00	102.00	352.00
60	უკანა მორგვი (საკისრით)	კომპლექტი	300.00	50.00	255.00	42.50	297.50
61	წინა მორგვი (საკისრით)	კომპლექტი	350.00	50.00	297.50	42.50	340.00
62	მორგვის საკისარი (წინა)	ცალი	100.00	60.00	85.00	51.00	136.00
63	უკანა ძელის მილისა (ბალკის ვტულკა)	ცალი	90.00	30.00	76.50	25.50	102.00
64	ნახევარდერძის ჩობალი	ცალი	30.00	30.00	1.70	0.85	2.55
65	ანთების კოჭა	ცალი	100.00	20.00	85.00	17.00	102.00
66	კარის მინის ამწე მექანიზმის ძრავი	ცალი	100.00	30.00	25.50	4.25	29.75
67	კარის მინის ამწე ღილაკი	ცალი	50.00	10.00	25.50	4.25	29.75
68	ყუმბარა გარე (შარნირი)	ცალი	450.00	50.00	382.50	42.50	425.00
69	ყუმბარა შიდა (შარნირი)	ცალი	400.00	50.00	340.00	42.50	382.50
70	ნახევარდერძი (შიგა და გარე ყუმბარებით)	კომპლექტი	950.00	50.00	382.50	42.50	425.00
71	კომპიუტერული დიგნოსტიკა	ცალი	0.00	30.00	0.00	25.50	25.50
72	სალონის საფენი ხალიჩა (რეზინის უნივერსალი)	კომპლექტი	60.00	0.00	51.00	0.00	51.00
73	საყვირი (სიგნალები)	ცალი	70.00	30.00	59.50	25.50	85.00
74	კარის მინის პლასტმასი	კომპლექტი	50.00	20.00	4.25	1.70	5.95
75	საყრდენი დისკი (აპორნი) წინა	ცალი	120.00	30.00	102.00	25.50	127.50
76	საყრდენი დისკი (აპორნი) უკანა	ცალი	100.00	30.00	85.00	25.50	110.50

77	გადამბულობის დამწოლი საკისარი (ვიჟიმნოი)	ცალი	90.00	10.00	76.50	8.50	85.00
78	ამპრავე (სტარტერი)	ცალი	350.00	40.00	212.50	17.00	229.50
79	ამპრავეს ბენდექსი	ცალი	70.00	40.00	59.50	34.00	93.50
80	ამპრავეს ამბოტკა (შეცვლა დაშლილ დეტალზე)	ცალი	130.00	0.00	8.50	0.00	8.50
81	ამპრავეს იაკორი (შეცვლა დაშლილ დეტალზე)	ცალი	120.00	0.00	68.00	0.00	68.00
82	ამპრავეს (სტარტერის) ნახშირის ბუდე (შეცვლა დაშლილ დეტალზე)	ცალი	35.00	0.00	12.75	0.00	12.75
83	ამპრავეს (სტარტერის) ნახშირი (შეცვლა დაშლილ დეტალზე)	ცალი	6.00	5.00	5.10	4.25	9.35
84	ამპრავეს (სტარტერის) შეკეთება (დაშლა/აწყობა)	ცალი	0.00	50.00	0.00	42.50	42.50
85	მაღალი წნევის საწვავის ფილტრი	კომპლექტი	270.00	80.00	17.00	4.25	21.25
86	ბენზინის ავზის ხუფი (სალონის)	ცალი	50.00	20.00	4.25	4.25	8.50
87	ვანუსის სენსორი	ცალი	150.00	20.00	127.50	17.00	144.50
88	გამანაწილებელი ლილვის ამთვლელი სენსორი	ცალი	130.00	20.00	110.50	17.00	127.50
89	მუხლანა ლილვის ამთვლელი სენსორი	ცალი	130.00	50.00	110.50	42.50	153.00
90	ძრავის შემშვები სარქელი (მონტაჟი დაშლილ ძრავზე)	ცალი	20.00	10.00	17.00	8.50	25.50
91	ძრავის გამშვები სარქელი (მონტაჟი დაშლილ ძრავზე)	ცალი	25.00	10.00	21.25	8.50	29.75
92	ძრავის სარქელის ჩობალი	კომპლ.	80.00	250.00	68.00	127.50	195.50
93	ძრავის სარქელის ბუდის მოხეხვა	ცალი	0.00	10.00	0.00	8.50	8.50
94	ძრავის ბლოკის თავის მოხეხვა	ცალი	0.00	80.00	0.00	68.00	68.00
95	ძრავის ჯაჭვი	ცალი	120.00	0.00	102.00	0.00	102.00
96	ძრავის ჯაჭვის ჰიდრავლიკური დამჭიმი	ცალი	100.00	30.00	85.00	8.50	93.50
97	ძრავის ჯაჭვის მექანიკური დამჭიმი (ე.წ ბაშმაკი)	ცალი	70.00	0.00	59.50	0.00	59.50
98	ძრავის ჯაჭვის დამაწყნარებელი	ცალი	70.00	0.00	59.50	0.00	59.50
99	ძრავის მუხლანა ლილვის წინა ჩობალი	ცალი	40.00	20.00	34.00	17.00	51.00
100	ძრავის მასრის საფენი (მონტაჟი დაშლილ ძრავზე)	ცალი	100.00	20.00	85.00	17.00	102.00
101	ძრავის ჯაჭვის შეცვლა	კომპლექტი	0.00	300.00	0.00	127.50	127.50
102	გამანაწილებელი ლილვის კბილანა (მონტაჟი დაშლილ ძრავზე)	ც	70.00	20.00	59.50	17.00	76.50
103	მუხლა ლილვის კბილანა (მონტაჟი დაშლილ ძრავზე)	ც	40.00	10.00	34.00	8.50	42.50
104	ძრავის კარტერის მ/დ	ცალი	0.00	50.00	0.00	42.50	42.50
105	ძრავის ხუფის საფენი	ცალი	40.00	50.00	34.00	42.50	76.50
106	ვანუსი	ცალი	350.00	0.00	212.50	0.00	212.50
107	გამშვები კოლექტორის საფენი	ცალი	41.00	0.00	34.85	0.00	34.85
108	შემშვები კოლექტორის საფენი	ცალი	13.00	0.00	11.05	0.00	11.05
109	ძრავის დ/ა	კომპლექტი	0.00	600.00	0.00	340.00	340.00
110	საქარე მინის საწმენდი	კომპლექტი	25.00	5.00	21.25	4.25	25.50
111	ხელის მუხრუჭის გვარლი	ცალი	80.00	60.00	68.00	51.00	119.00
112	მუხრუჭის სუპორტის მანჟეტები	კომპლექტი	50.00	50.00	42.50	42.50	85.00

113	ამბრავის კონტაქტების ღილაკი (ე.წ. კნოპკა)	ცალი	80.00	50.00	42.50	12.75	55.25
114	ამბრავის კონტაქტების აღდგენა/შეკეთება	ცალი	0.00	30.00	0.00	25.50	25.50
115	თვლის სარჭი	ცალი	10.00	5.00	8.50	4.25	12.75
116	კონდიციონერის კომპრესორის საკისარი	ცალი	50.00	50.00	42.50	42.50	85.00
117	კონდიციონერის კომპრესორის შეკეთება	ცალი	0.00	80.00	0.00	68.00	68.00
118	ძრავის ქვედა საფარი	ცალი	80.00	20.00	17.00	4.25	21.25
119	ფრთის ქვედა საფარი	ცალი	60.00	20.00	51.00	17.00	68.00
120	გაგრილების რადიატორი	ცალი	400.00	80.00	255.00	34.00	289.00
121	რადიატორის ვენტილატორი	ცალი	150.00	50.00	42.50	4.25	46.75
122	საბარგულის გვარლი	ცალი	60.00	30.00	4.25	0.85	5.10
123	გადაცემათა კოლოფის კბილანა	ცალი	80.00	0.00	68.00	0.00	68.00
124	გადაცემათა კოლოფის სინქრონიზატორი	ცალი	100.00	0.00	85.00	0.00	85.00
125	გადაცემათა კოლოფის საკისარი	ცალი	50.00	0.00	42.50	0.00	42.50
126	გადაცემათა კოლოფის ჩოხალი	ცალი	40.00	20.00	34.00	17.00	51.00
127	გადაცემათა კოლოფის შეკეთება (დაშლა-აწყობა)	ცალი	0.00	400.00	0.00	340.00	340.00
128	მუხრუჭის მთავარი ცილინდრი	ცალი	400.00	50.00	340.00	42.50	382.50
129	მუხრუჭის სუპორტი წინა	ცალი	35.00	30.00	29.75	4.25	34.00
130	მუხრუჭის სუპორტი უკანა	ცალი	200.00	30.00	29.75	4.25	34.00
131	წინა სუპორტის მიმმართველი (ზედა)	ცალი	25.00	20.00	21.25	17.00	38.25
132	წინა სუპორტის მიმმართველი (ქვედა)	ცალი	20.00	15.00	17.00	12.75	29.75
133	უკანა სუპორტის მიმმართველი	ცალი	20.00	15.00	17.00	12.75	29.75
134	ბამპერის სამაგრი (სალასკა)	ცალი	50.00	30.00	42.50	25.50	68.00
<b>სულ</b>							<b>12764.05</b>
<b>კია სერატო - ძრავი 1.6, გამოშვების წელი 2011, 2012, ავტომატური გადაცემა, კოლოფი - 2 ერთეული</b>							
1	ძრავის ზეთის ფილტრი	ცალი	20.00	5.00	20.00	4.25	24.25
2	სანთელი	ცალი	15.00	5.00	15.00	4.25	19.25
3	ფილტრი სალონის	ცალი	20.00	5.00	20.00	4.25	24.25
4	ფილტრი ჰაერის	ცალი	30.00	5.00	25.50	4.25	29.75
5	საქარე მინის საწმენდი	კომპლექტი	40.00	5.00	34.00	4.25	38.25
6	ამორტიზატორი წინა	ცალი	220.00	40.00	187.00	34.00	221.00
7	ამორტიზატორი უკანა	ცალი	180.00	40.00	153.00	34.00	187.00
8	ამორტიზატორის საყრდენი ბალიში წინა	კომპლექტი	120.00	40.00	102.00	34.00	136.00
9	ამორტიზატორის საყრდენი ბალიში უკანა	კომპლექტი	100.00	40.00	4.25	0.85	5.10
10	ღვედის დამჭიმე მუქანიზმი	კომპლექტი	180.00	20.00	4.25	0.85	5.10
11	ღვედის დამჭიმე მუქანიზმის გორგოლაჭი	ცალი	50.00	20.00	4.25	0.85	5.10
12	ღვედის ამყალი გორგოლაჭი	ცალი	50.00	20.00	42.50	17.00	59.50
13	გენერატორი	ცალი	350.00	30.00	255.00	8.50	263.50
14	გენერატორის ღვედი	ცალი	50.00	20.00	42.50	17.00	59.50
